


მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

III ფაზა

2019 წლის 4 აპრილს, რეფორმეტრის III ფაზა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შესრულების შეფასებით გაგრძელდა.

სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმის გეგმა 100 %-ით შესრულდა, რაც პირველი შემთხვევაა.

ზოგადი შეფასება




გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიის ფარგლებში 2020 წლისათვის დაგეგმილი სამიზნე ინდიკატორები, 2017 წლის მდგომარეობით, უკვე შესრულებულია.

ინდიკატორი	2020	2017
მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად	10 %	13.3 %
მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა	15 %	27.4 %
მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობის ზრდა	7 %	35 %

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 6.89 დაუწერა, რაც 1 ქულით აღემატება წინა ფაზის შეფასებას. შეფასებამ აჩვენა, რომ რეფორმის მიმართ განწყობა და მოლოდინები პოზიტიურია.

ზოგადი შეფასება




დისკუსიაზე, რომელსაც დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი, მიხეილ ხიდურელი და ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ცისნამი საბაძე ესწრებოდნენ, გაიჟღერა რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოსაზრებამ, რომელიც რეფორმის მიმდინარეობას უკავშირდება, კერძოდ:

- ISET-ის მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის შედეგების კვლევის მიხედვით, ბენეფიციარებმა კერძო სექტორის განვითარებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად დაასახელეს მაღალი გადასახადები. თუმცა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა, მიხეილ ხიდურელმა აღნიშნა, რომ მეწარმეები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით და მისი აზრით ხელშემშლელ ფაქტორად მაღალი გადასახადების დასახელება ბენეფიციარების ნაკლებად ინფორმირებულობასთანაა დაკავშირებული.
- შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახალი კრიტერიუმებით საწარმოების უმეტესობა მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიაში არის მოქცეული და მათი განვითარების დინამიკაზე ერთიანად ხდება დაკვირვება. გაჩნდა აზრი, რომ კვლევის გაღრმავების მიზნით უკეთესი იქნება თუ დავაკვირდებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ცალ-ცალკე და ვნახავთ, მაგალითად, არის თუ არა მცირე ზომის საწარმოების ზრდის დინამიკა ანალოგიური მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დინამიკის.
- Tbilinomics-ის დამფუძნებელმა ერიკ ლივნიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ საწარმოების მხრიდან ზრდის უკეთესი შედეგების მისაღწევად საჭიროა აქცენტის გაკეთება კლასტერებსა და სინერჯის ეფექტზე. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ იზიარებს ამ მოსაზრებას და აღინიშნა, რომ მიკრო გრანტების კომპონენტში ისინი დამატებით ქულებს ანიჭებენ კლასტერებს.
- რაც შეეხება პროგრამის მიზნებს, აღინიშნა რომ მეწარმეებისთვის ბიზნესის ხელშეწყობის ერთ-ერთი მიზანი არის რეგიონებიდან მოსახლეობის გადინების შეჩერება. მიზნებს შორის ასევე დასახელდა სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმების ზრდა და ინკლუზიური ზრდა.
- დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ საჭიროა უკვე არსებული და ფუნქციონირებადი ბიზნესებისთვის დახმარების გაწევა პროდუქტის რეალიზაციაში, ამიტომ კარგი იქნება თუ

პრიორიტეტების კუთხით, ახალი ბიზნესის დაწყებასთან ერთად ბაზარზე წვდომის კომპონენტაც გაძლიერდება.

- სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა, მიხეილ ხიდურელმა, შეხვედრის ბოლოს ისაუბრა სააგენტოში დაგეგმილ ცვლილებებზე. მისი თქმით სააგენტოს დაემატება 20 ადამიანი რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ კონსულტაციებს მეწარმეებთან, რასაც აქამდე კონტრაქტორი კომპანია აკეთებდა. ასევე რეგიონების უკეთ მოცვის მიზნით იგეგმება ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტებში, რომლის ფარგლებშიც დატრენინგდებიან სოფლის რწმუნებულები მიმდინარე პროექტების შესახებ, რათა მათ, თავის მხრივ, უკეთ შეძლონ ინფორმაციის გავრცელება სოფლებში.

შეფასების შედეგად, **რეფორმვერდიქტი** - მთავრობის ერთიანი შეფასება გაიზარდა და მან 5.66 შეადგინა.



რეფორმები
თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

სამთავრობო კვლევა

Government Survey

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება
III ფაზა


რა არის სამთავრობო კვლევა?

სამთავრობო კვლევა – სპეციალური, შეთანხმებული კითხვარის საშუალებით ზომავს კონკრეტული რეფორმის გეგმის შესრულებას

კითხვარი შედგება 4 სეგმენტისგან

სეგმენტი	აღწერა	აქტივობის მაგალითი	შედეგის მაგალითი
1. ინსტიტუციური მოწყობა	<ul style="list-style-type: none"> ფუნქციების განაწილება სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 	სტრატეგია	გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება
2. ადამიანური რესურსები	ადამიანური რესურსების მობილიზაცია და განვითარება	სააგენტოს ოპერაციონალური მოწყობა	ტრენინგები
3. ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	<ul style="list-style-type: none"> ბიუჯეტი შენობა და მოწყობილობები 	ბიუჯეტის მობილიზება	გრანტების გაცემა
4. კანონდებლობა და რეგულაცია	საკანონმდებლო და რეგულატორული ჩარჩო	კანონდებლობის ანალიზი	ახალი კანონი

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით || ფაზა 2018 წელი



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია
2016-2020 წლებისთვის

სტრატეგიული მიმართულება 1: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

სტრატეგიული მიმართულება 2: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიმართულება 3: მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა


სტრატეგიული მიმართულება 4: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიმართულება 5: ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით III ფაზა

მთავრობის მიხედვით

ზოგადი შეფასება



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

უწყვეტი სამეწარმეო სწავლება (LLEL)

- მეწარმეობის სწავლება 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტია
- მეწარმეობის მოდული პროფესიული განათლების ყველა პროგრამისთვის სავალდებულო გახდა
- მეწარმეობის მოდული გაუმჯობესდა და მეწარმეობის ლექტორები გადამზადდნენ

ინფორმაცია მცირე ბიზნესის დაწყებისა და მართვის შესახებ

- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები იღებენ ინფორმაციას ბიზნესის დაწყებისა და მართვის შესახებ
- გაზამკვეთი „როგორ დაიწყოთ ბიზნესი“- www.economy.ge/uploads/gzamkvlevi/Business_Guide-2013.pdf

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

ფინანსური ინსტრუმენტები

- ინდუსტრიული მიმართულება: კრედიტი, ლიზინგი, ტექნიკური დამხმარება
- სასტუმრო ინდუსტრია: სასტუმრო ინდუსტრია, თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით, ტექნიკური დახმარება
- მიკრო და მცირე ბიზნესი: თანადაფინანსება - < 20 000 ლარი, საკონსულტაციო მხარდაჭერა
- ექსპორტის მხარდაჭერა: საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება, უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან, ინფორმაციის მიწოდება, განათლება (ექსპორტის მენეჯერების გადამზადება), ევროპის მეწარმეთა ქსელში გაერთიანება (ENN)
- 2019 წლის 1-ლი აპრილიდან: „საკრედიტო საგარანტიო სქემა“: საკრედიტო გარანტია სესხზე, ძირითადი თანხის არაუმეტეს 70%-ის ოდენობით - 50.000 – 2.000.000 ლარი

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების დამოუკიდებელი შეფასება

- პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება - BDO 2018
- მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის შეფასება - ISET, 2019

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

სტრატეგიის სამიზნე მაჩვენებლები (საბაზისო წელი- 2013):

	2020	2017
მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად	10%	13.3 %
მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა	15%	27.4 %
მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობის ზრდა	7%	35 %

რეფორმეტრი


თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

რაოდენობრივი მაჩვენებლები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება
2019 – მესამე ფაზა




მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანი გამოშვება



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვება სექტორების მიხედვით

(2018 წელი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა სექტორების მიხედვით

(2018 წელი)




	2017	2018	ცვლილება (%)
ვაჭრობა	115834	118206	2% ↗
უძრავი ქონება	16283	17212	6% ↗
დამამუშავებელი მრეწველობა	55557	53644	-3% ↘
მშენებლობა	49956	52782	6% ↗
ტრანსპორტი და დასაწყობება	22404	24725	10% ↗
სხვა სექტორები	146208	151573	4% ↗


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობა რეგიონების მიხედვით

გამოშვება ერთ აქტიურ კომპანიაზე
(მლნ. ლარი)




გამოშვება ერთ დასაქმებულზე
(მლნ. ლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობა სექტორების მიხედვით

გამოშვება ერთ აქტიურ კომპანიაზე
(მლნ. ლარი)




გამოშვება ერთ დასაქმებულზე
(მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცირე და საშუალო საწარმოების სესხების წილი მთლიან ბიზნეს სესხებში





მცირე და საშუალო საწარმოების სესხების მოცულობა (მლნ. ლარი)

წელი	2017	2018
ოქტომბერი	5059	5811
ნოემბერი	5318	5868
დეკემბერი	5266	6006

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მცირე და საშუალო საწარმოების სესხები ლარში და დოლარში

(მოცულობა და საპროცენტო განაკვეთები)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოების უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები ლარში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოების სესხები სექტორების მიხედვით (ათას ლარში)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: ISET კვლევითი ცენტრი

ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI): ბიზნესისთვის ხელშემშლელი ფაქტორები, 2019 წლის I კვარტალი



წყარო: ISET კვლევითი ცენტრი

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანობის შეფასება

ISET

პროგრამის მიმოხილვა

- პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით;
- პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან;
- კონკურსში მონაწილეობის ეტაპები: ბიზნესიდეების კონკურსი, ბიზნესგეგმის წერის ტრენინგი, ბიზნესგეგმების კონკურსი, დაფინანსება.
- 2018 წლამდე დაფინანსების სტრუქტურა შემდეგნაირი იყო: ინდივიდუალური მონაწილე - მაქსიმუმ 5,000 ლარი, ორი მონაწილისგან შემდგარი ამხანაგობა - 10,000 ლარი და სამი მონაწილისგან შემდგარი ამხანაგობა - 15,000 ლარი.

საკვლევი რეგიონი

წელი: 2016

რეგიონი: სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი


კონტრაქტორი ორგანიზაცია: Regional Development Association (RDA)

ბიზნეს გეგმების კონკურსი: სულ შეფასებულია 410 ბიზნეს გეგმა

- დაფინანსდა - 158 ბიზნეს გეგმა
- არ დაფინანსდა - 235 ბიზნეს გეგმა
- დაფინანსებაზე უარი განაცხადა - 17 ბიზნეს გეგმა

2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა ბიზნესების გამოკითხვა; გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ბენეფიციარებმა, ასევე არაბენეფიციარებმა.

კვლევის მიზანია შეფასდეს რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა აღნიშნული საგრანტო პროგრამა, ანუ როგორ გაუმჯობესდა ბენეფიციართა მდგომარეობა არაბენეფიციარების მდგომარეობასთან შედარებით.



გამოკვლევების მარკეტინგული

ზოგადი მიმოხილვა

უკასუხა	284
ვერ მიიღო დაფინანსება	162
მიიღო დაფინანსება	122
არ უკასუხა	87

მუნიციპალური განაწილება

ახალციხე	112
ბორჯომი	32
ასპინძა	27
თეთრიწყარო	20
ადიგენი	18
ახალქალაქი	18
ბოლნისი	12
გარდაბანი	11
მარნეული	10
რუსთავი	8
ნინოწმინდა	7
დმანისი	5
წალკა	4



სტარტაპი vs. არსებული



სტარტაპი	117
არსებული კომპანია	167




ქალი vs. კაცი



ქალი	73
კაცი	211

ზოგადი მიმოხილვა



განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით

სოფლის მეურნეობა	84
მრეწველობა	34
სასტუმროები	24
ვაჭრობა	20
მომსახურება	9
სხვა სექტორები	35
გამოტოვება	78

როგორ შეიცვალა თქვენი მდგომარეობა ბოლო 2 წლის განმავლობაში?






მიიღო დაფინანსება  3.50

ვერ მიიღო დაფინანსება  3.27

მაქს.: 5

დაფინანსება ▲ უფრო მეტად გაუმჯობესდა იმ ადამიანების მდგომარეობა ვინც მიიღო დაფინანსება.


სქესი ▲ ქალების და ახალგაზრდების მდგომარეობა უფრო მეტად გაუმჯობესდა ვიდრე კაცების და ასაკი ▲ შედარებით დიდი ასაკის ხალხის.

განათლება 
 გამოცდილება  არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
 შემოსავლის წყარო 
 შემოსავალი 
 მუნიციპალიტეტი 




რამდენია თქვენი საშუალოთვიური შემოსავალი?

მიიღო დაფინანსება  917.2

ვერ მიიღო დაფინანსება  863.8

დაფინანსება  არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

განათლება ▲ უფრო განათლებული და გამოცდილი ადამიანების შემოსავალი მაღალია.
 გამოცდილება ▲ ასევე მაღალია ახალგაზრდების შემოსავლები.
 ასაკი ▲

სქესი 
 შემოსავლის წყარო  არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
 მუნიციპალიტეტი 

აგრძელებთ თუ არა საქმიანობას იმავე სფეროში?

მიიღო დაფინანსება 93.4%

ვერ მიიღო დაფინანსება 48.1%

დაფინანსება	▲	ვინც მიიღო დაფინანსება უფრო ხშირად აგრძელებს იმავე საქმიანობას.
სტარტაპი	▼	სტარტაპი უფრო იშვიათად აგრძელებს იმავე საქმიანობას.
დაფინანსება & სტარტაპი	▲	სტარტაპი, რომელმაც მიიღო დაფინანსება უფრო ხშირად აგრძელებს იმავე საქმიანობას.
ასაკი	■	არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
სქესი	■	
განათლება	■	
გამოცდილება	■	
შემოსავალი	■	
მუნიციპალიტეტი	■	

შრომის პროდუქტიულობა, 2017

მიიღო დაფინანსება 8.2

ვერ მიიღო დაფინანსება 7.9

დაფინანსება	■	არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
სტარტაპი	■	არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
დაფინანსება & სტარტაპი	■	არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
განათლება	▲	უფრო განათლებული კაცი მენეჯერების კომპანიებში პროდუქტიულობა უფრო მაღალია.
სქესი	▲	
ასაკი	■	არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.
გამოცდილება	■	
სექტორი	■	
მუნიციპალიტეტი	■	

ბიზნეს საქმიანობის შემზღვეველი ფაქტორები

	არ მიიღო დაფინანსება	მიიღო დაფინანსება
ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	90.6%	74.4%
მიწაზე ხელმისაწვდომობა	2.4%	0.0%
ბიზნესის ლიცენზია	0.0%	0.8%
კორუფცია	0.0%	0.8%
ელექტროენერგია	0.0%	1.7%
არაკვალიფიციური სამუშაო ძალა	0.0%	1.7%
შრომის რეგულაცია	0.0%	0.8%
არაფორმალურ სექტორთან კონკურენცია	0.0%	0.8%
გადასახადების ადმინისტრირება	0.0%	1.7%
მაღალი გადასახადები	3.5%	6.6%
ტრანსპორტირება	0.0%	0.8%
არ ვიცი	3.5%	9.9%

პროგრამის შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- საგრანტო პროგრამამ დადებითი გავლენა იქონია კომპანიების გადარჩენის მაჩვენებელზე (survival rate), ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტარტაპების შემთხვევაში;
- მოკლევადიან პერიოდში საგრანტო პროგრამის გავლენა შრომის პროდუქტიულობაზე არ არის მნიშვნელოვანი;
- საგრანტო პროგრამამ დადებითი გავლენა იქონია ბენეციფიარების ცხოვრების ხარისხზე;